ხელშეკრულება

ქ.ზუგდიდი 21 აპრილი 2016 წელი

ერთის მხრივ, შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია" (ს/კ 412670097) წარმოდგენილი სამეგრელო-ზემო სავანეთის რეგიონული ფილიალის ზუგდიდის სერვის ცენტრის მენეჯერის დავით ფოცხვერიას სახით, (შემდგომში - შემსრულებელი) და მეორეს მხრივ, ააიპ ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ცენტრი (ს/კ 419992299) წარმოდგენილი დირექტორის მამუკა ციმინტიას სახით, (შემდგომში - დამკვეთი), ორმხრივი ნების გამოვლენის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი1. ხელშეკრულების საგანი:

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად,,შემსრულებელი" კისრულობს ვალდებულებას ,,დამკვეთს" გაუწიოს ჭების საწმენდი მანქანით - MAN TGA 18 240 სახელმწიფო ნომრით BVB-362, ხოლო თავის მხრივ ,,დამკვეთი" იღებს ვალდებულებას გადაუხადოს ,,შემსრულებელს" შეთანხმებული საზღაური;

1.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელების ადგილია ქ.ზუგდიდი, თამარ მეფის ქუჩა, დევნილთა დასახლება; (20კმ-ის რადიუსში);

მუხლი 2. მომსახურების ღირებულება, მიღება-ჩაბარების წესი და ანგარიშების პირობები:

2.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების - ერთი საათის განმავლობაში გაწმენდის - ღირებულება შეადგენს **150 (ას ორმოცდაათ ლარს)** საქართველოში მოქმედი გადასახადების ჩათვლით;

2.2 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები:

3.1 ,,დამკვეთი" ვალდებულია:
დროულად აუნაზღაუროს ,,შემსრულებელს" გაწეული მომსახურების ღირებულება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;
3.2 ,,შემსრულებელი" ვალდებულია:
განახორციელოს მომსახურება არსებულ სტანდარტების შესაბამისად;

მუხლი 4. მხარეთა პასუხისმგებლობა:

,,დამკვეთის" მხრიდან ანგარიშსწორების პირობების დარღვევის შემთხვევაში ,,დამკვეთს" დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველი ვადაგადაცილებულ დღეზე 5 (ხუთი) ლარის ოდენობით.

მუხლი 5. დავა:

მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 6. ფორს-მაჟორი:

ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების

შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.

მუხლი 7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა:

ხელშეკრულება ძალაშია მხარეების მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

მუხლი 8. დამატებითი პირობები:

8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილებების და/ან დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა, რაც წინამდეგბარე ხელშეკრულებას.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

„დამკვეთი"

ააიპ ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის
კეთილმოწყობის ცენტრი
ს/კ 419992299
იურიდიული მისამართი: ქ.ზუგდიდი,
გორის ქ.№17
მომსახურე ბანკი: სს „ლიბერთი ბანკი"
ბ/კ LBRTGE22
ა/ა **GE80LB0115112347108000**

დირექტორი:

მამუკა ციმინტია

„შემსრულებელი"

შპს „საქართველოს გაერთიანებული
წყალმომარაგების კომპანია"
სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული
ფილიალის ზუგდიდის ს/ცენტრის მენეჯერი
ს/კოდი: 412670097
მის: ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას ქ.№76-ბ;
მომსახურე ბანკი: ს.ს. „ლიბერთი ბანკი"
ცენტრალური ფილიალი
ბ/კოდი: LBRTGE22
ა/ა: **GE77LB0113123325230012**

დავით ფოცხვერია